

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
საზოგადოებრივი კოლეჯის

კ ა ტ ა ლ ო გ ი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ.49 0162

ტელ: (+995) 32 2 23 06 26

ვებ-გვერდი: www.sportcolle.ge

ელ-ფოსტა: administration@sportcolle.ge

თბილისი 2016

კოლეჯის მისია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი“ საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯის მისიაა პროფესიული განათლების განვითარებითა და პოპულარიზებით უზრუნველყოს საზოგადოების წინსვლა; ხელი შეუწყოს ქვეყნის პოტენციალის რეალიზებას; განვითარებაზე ორიენტირებული და საერთაშორისო, ტრანსრეგიონალურ დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიული პროგრამების განხორციელების მეშვეობით, მოამზადოს კონკრეტული დარგის ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს მუდმივად ცვალებად განვითარებაზე ორიენტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციას, ხელს შეუწყობს საკუთარი სფეროს დინამიურ განვითარებას.

კოლეჯის მიზანია შექმნას სტუდენტთა სწავლებისათვის საუკეთესო პირობები, დაამკვიდროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და მომავალზე ორიენტირებული პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა.

კოლეჯის ამოცანებია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სწავლის და სწავლების აკადემიური თავისუფლების პირობების შექმნა, მართვის საჯაროობა და გამჭვირვალობა. დარგის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შესთავაზოს კვალიფიციურად აგებული თანამედროვე სასწავლო პროგრამები, სწავლების პროცესის თანამედროვე მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც სტუდენტებს მისცემს ცოდნას სხვადასხვა დარგში და პირველ რიგში ფიზიკური აღზრდის და სპორტის სფეროში.

ბექდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი

- I. სახელწოდება: ბექდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი
- II. სარეგისტრაციო ნომერი: 03201-3
- III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეოთხე
- IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბექდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. საკანონმდებლო ბაზა:
 - საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - ბექდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის პროფესიული სტანდარტი
- VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
- VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბექდურ გამოცემებში (გაზეთები, ჟურნალები), ონლაინ გამოცემებში, საინფორმაციო სააგენტოებში, პრესსამსახურებში
- VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიული სტუდენტი, რომელიც შეძლებს მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, ტექსტური ან მულტიმედიის სახის პროდუქტის (ტექსტური, აუდიო, ფოტო და/ან ვიდეოფორმატის კომბინაცია) შექმნას და ბექდურ და/ან ონლაინსაშუალებით გამოქვეყნებას.
- IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

 - სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა
 - წერილობით ტექსტზე მუშაობა
 - პროფესიული ეთიკისა და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ბექდური და/ან მულტიმედია პროდუქტის შექმნა
 - მედიაპროდუქტის ატვირთვა ვებგვერდზე, ბლოგზე, სოციალური ქსელებით
- X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:
 - მოცულობა: 152 კრედიტი
 - სავარაუდო ხანგრძლივობა: 25 სასწავლო თვე
 -

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	2	არჩევნების გამუქება	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	12	ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების გამუქება	5
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	6	სპორტის გამუქება	5
მეწარმეობა	5	ახალი ამბების წარმოება	7	განათლების საკითხების გამუქება	5
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	ინფორმაციის მოძიების ტექნიკა	5		
უცხოური ენა	5	წერილობით ტექსტთან მუშაობა	7		
სამოქალაქო განათლება	2	ფოტოსაქმე	5		
ქართული ენა A2	15	ვიდეომასალაზე მუშაობა	5		
ქართული ენა B1	15	ახალი მედია	6		
		პროფესიული ეთიკის დაცვა	6		
		პროფესიული უსაფრთხოების დაცვა	2		

		კანონმდებლობა რეპორტიორისათვის	4		
		სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა	4		
		ინგლისური ენა - (B1+/ B2) ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორისათვის	5		
		კომუნიკაცია-2	2		
		პირველადი გადაუდებელი დახმარება	2		
სულ:	52	სულ:	80	სულ:	20

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.

მასაჟისტ-რეაბილიტატორი

- I. სახელწოდება: მასაჟისტ-რეაბილიტატორი
- II. სარეგისტრაციო ნომერი: 09104-პ
- III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეხუთე
- IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. საკანონმდებლო ბაზა:
 - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - მასაჟისტი რეაბილიტატორის პროფესიული სტანდარტი
- VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
- VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, რეაბილიტაციის ცენტრებში, სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე, ესთეტიკურ ცენტრებში, სპა ცენტრებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სკოლებში, სასტუმროებში, ცეკვის სტუდიებში, ოფისებში, კურორტებზე, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მასაჟისტი რეაბილიტატორების მომზადება, რომლებიც ხარისხიანად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, გამოიყენებენ ცოდნას და უნარებს შრომითი საქმიანობის ფარგლებში. ასევე, პროგრამა ხელს შეუწყობს მასაჟისტთა პროფესიული დონის ამაღლებას, ფართოსაზოგადოების მხრიდან ინტერესის გაზრდას ამ პროფესიის მიმართ; დასაქმების შესაძლებლობების გამრავალფეროვნებას.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პაციენტის/კლიენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასება
- კონკრეტული კლიენტის სამკურნალო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა
- პაციენტისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა სპეციალური მექანიკური მანიპულაციებით (სამასაჟე ილეთები)
- კოსმეტიკური და ესთეტიკური მასაჟის პროცედურების ჩატარება
- სხვადასხვა ტიპის სამკურნალო მასაჟის პროცედურის ჩატარება
- ცოდნის ამაღლების მიზნით პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 155 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 25 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადიმოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა-მასაჟისტ რეაბილიტატორი	2	რეფლექტორული მასაჟი	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-მასაჟისტ რეაბილიტატორი	12	არომასაჟი	1
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი-მასაჟისტ რეაბილიტატორი	6	მასაჟის აღმოსავლური მეთოდები	2
მეწარმეობა	5	მასაჟის თეორიული საფუძვლები	1	რეფლექსოლოგია (ტერაპიის და მტევნების მასაჟი)	1
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური ასპექტები	5	კინეზოთერაპია სამედიცინო რეაბილიტაციის სისტემაში -2	4
უცხოური ენა	5	ბიოეთიკის და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტები	1	სპორტული მასაჟი	2
სამოქალაქო განათლება	2	პაციენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასება	3	ორსულთა და მელოგინე ქალთა მასაჟი	1
ქართული ენა A2	15	პირველადი გადაუდებელი დახმარება - მასაჟისტ-რეაბილიტატორი	1	მანუალური თერაპია და ტაილანდური იოგა-მასაჟი სამკურნალო მასაჟის სისტემაში	3
ქართული ენა B1	15	მასაჟის სანიტარულ-ჰიგიენური საფუძვლები და მასაჟის პროცედურის მართვა	1	ჯანსაღი კვება და დიეტა	1
		ზოგადი დარეგიონალური	9	აპარატურული მასაჟი	2

		მასაჟი კლასიკური (შვედური) მეთოდით			
		წერტილოვანი მასაჟი (აკუპრესურა)	7		
		კინეზოთერაპია სამედიცინო რეაბილიტაციის სისტემაში 1	3		
		ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგადგამაჯანსაღებელ ი და სამკურნალო მასაჟი კინეზოთერაპიით	4		
		კოსმეტიკური მასაჟი	1		
		მასაჟის მეთოდები ესთეტიკურ მედიცინაში და მასაჟის გავრცელებული სახეები.	3		
		სამკურნალო მასაჟი ტანდემობის დარღვევების დროს	2		
		სამკურნალო მასაჟი პოსტ-ტრავმული, პოსტ-ოპერაციული მდგომარეობების და ორთოპედიული დაავადებების დროს	6		
		სამკურნალო მასაჟი ნერვული სისტემის დაავადებების დროს	6		
		სამკურნალო მასაჟი ნივთიერებათა ცვლის დარღვევების დროს	1		
		სამკურნალო მასაჟი შინაგანი ორგანოების, გინეკოლოგიური, უროლოგიური და დერმატოლოგიური დაავადებების დროს	2		
		ლიმფის მანუალური დრენაჟი და კომპრესიული თერაპია	6		
		მასაჟისტის პროფესიული ზრდა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	1		

სულ:	52	სულ:	83	სულ:	20
------	----	------	----	------	----

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

6. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
7. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
8. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
9. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
10. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.

კორესპონდენტის III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	კორესპონდენტი
პროგრამის ხელმძღვანელი	ელენე ბილიხოძე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კორესპონდენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის სტრუქტურა	50 კრედიტი (1250 საათი), - 20 კრედიტი (500 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო -30 კრედიტი (750საათი) - პრაქტიკას. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
პროგრამის ხანგრძლივობა	40 კვირა
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების შესაძლებლობა	2014 წლის 30 მაისი. განახლებადია ყოველწლიურად
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია თანამედროვე საინფორმაციო სივრცის სპეციფიკის, შესაბამისი პროფესიული ცოდნით აღჭურვილი, პრაქტიკული ჟურნალისტიკის საფუძვლების მცოდნე და საწყისიპროფესიული უნარ-ჩვევების მქონე ჟურნალისტიკური კადრი სმომზადება. პროგრამა უზრუნველყოფს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაზისო ცოდნას, ჟურნალისტიკისკლასიკური და უახლესი გამოცდილების ათვისებას, თანამედროვე საქართველოს საინფორმაციო სივრცის შესწავლას, პროფესიული და ეთიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, პრაქტიკულ მომზადებას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.
სწავლის შედეგი	1.ცოდნა და გაცნობიერება აქვს დარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა. საზოგადოებრივი ფუნქციები, აუდიტორიასთან ურთიერთობები, ფორმები და მეთოდები. იცის ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები, მედიის დანიშნულება, ინფორმაციის მოპოვება დაჩაწერა. ცოდნის გაფართოების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების გზით აცნობიერებს ცოდნის განახლებულ ფარგლებს. კერძოდ, ელექტრონული ტელერადიო-საგაზეთო თეორიის საკითხები, სპეციფიკა და თავისებურება. საზოგადოებრივი ფუნქციები. მაუწყებლობის პროცესის თავისებურება აუდიტორიასთან. 2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი დამოუკიდებლად აცნობიერებს და გეგმავს ინოვაციურ მიდგომებს.

	<p>იცის როგორ აიღოს ინტერვიუ, გააკეთოს რეპორტაჟი, იყენებსკორესპონდენტისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. დამოუკიდებლად,რედაქტორის დავალებით შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია, ჩაწეროს დიქტოფონზე, გაშიფროს მოკლე ტექსტი დაგაკეთოს მისი მოკლე რელიზი.</p> <p>3. დასკვნის უნარი შეუძლია რთული და კრიტიკული იდეების ჩამოყალიბება. თანამედროვე მედიიდან, როგორც წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დანიშნულება და ანალიზი. გაანალიზოს მაუწყებლობის პროცესის თავისებურება. შეუძლია მოვლენის ადგილზე განსაზღვროსინფორმაციის აქტუალურობა. პრობლემის გადაჭრისას იღებს დამოუკიდებელგ ადაწყვეტილებას ამა თუ იმ პრობლემას თანდაკავშირებით.</p> <p>4. კომუნიკაციის უნარი აუდიტორიასთან ურთერთობის ფორმების და მეთოდების დახვეწას და დაუფლებას. რესპოდენტებთან, კოლეგებთან პარტნიორულურთიერთობას, ჯგუფურ მუშაობას. შეუძლია ახალიც ოდნის არსებულ ცოდნასთან წარმოჩენა და დაკავშირება. შეუძლია პროფესიულსაქმიანობაში უცხო ენაზე მოიპოვოს ინფორმაცია. უნდა დაეუფლოს და გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგია, კერძოდ, ტელეფონი,სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა</p> <p>5. სწავლის უნარი დამოუკიდებლად შეძლებს დარგობრივ ლიტერატურასთან მუშაობას. სწავლის საკუთარი პროცესის ორგანიზებას. კორესპონდენტისთვისსაჭირო ლიტერატურის გაცნობის გზით რეგულარული ცოდნის განახლებას.</p> <p>6. ღირებულებები კორესპონდენტს ჩამოუყალიბდება ჟურნალისტური საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები (სიმართლე, ობიექტურობა,პატიოსნება, კონფიდენციალურობა, დამოუკიდებლობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა. იცის ჟურნალისტური ეთიკის დანიშნულება. იცავსმას პროფესიულ საქმიანობაში. ობიექტურად ასახავს მოვლენის აქტუალურობას დაიყენებს იმ პრინციპებს, რაც დამახასიათებელი უნდა იყოს ობიექტური კორესპონდენტისათვის.</p>
<p>სწავლების ფორმატი</p>	<p>ლექცია; პრაქტიკული მეცადინეობა.</p>
<p>სწავლის შედეგების მიღწევისმეთოდები</p>	<p>გამოყენებულია მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის: <u>სამუშაო ჯგუფში</u> პრაქტიკული მეცადინეობა - პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები. <u>ჯგუფური (collaborative) მუშაობა</u> - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში.</p>

	<p>პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები: <u>როლური და სიტუაციური თამაშები</u> - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებულებას, გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. <u>დემონსტრირების მეთოდი</u> - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/ პრობლემის არსს. <u>ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება</u> - მოითხოვს კურსის განმახორციელებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გადაცემა. ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია პრესკონფერენცია, მოწვეული სტუმარი, ინფორმაციული ლექცია და ა.შ. პრეზენტაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას; <input type="checkbox"/> (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; <input type="checkbox"/> (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; <input type="checkbox"/> (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; <input type="checkbox"/> (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; <input type="checkbox"/> (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; ორი სახის უარყოფით შეფასებას: <input type="checkbox"/> (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; <input type="checkbox"/> (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს: ა) შუალედურ შეფასებას; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p>

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში).

პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულსტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს

სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი
მასაჟისტის III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამის სახელწოდება	მასაჟისტი
პროგრამის ხელმძღვანელი	იზა რევია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროგრამის სტრუქტურა	60 კრედიტი (1500 საათი), აქედან (60%) - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 24 კრედიტი (600 საათი) - პრაქტიკას. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის საქმიანობას 25

	ასტრონომიული საათის განმავლობაში.
პროგრამის ხანგრძლივობა:	46 კვირა.
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების შესაძლებლობა	2014 წლის 30 მაისი. განახლებადია ყოველწლიურად
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და მასაჟისტის (090651) პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.</p> <p>სტუდენტს მისცეს მასაჟისტისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, კერძოდ, შეისწავლოს: ზოგადი მასაჟი, ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, თერაპიის საფუძვლები, გადაუდებელი პირველადი დახმარება, ლათინური ენა, კინეზიოთერაპია, მანუალური თერაპია და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა, სპორტული და სამკურნალო მასაჟი, ბავშვთა მასაჟის ტექნიკური ურთიერთობის ფსიქოლოგია;</p> <ul style="list-style-type: none"> □ მოამზადოს პრაქტიკოს-სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში; □ მისცეს შესაბამისი კურსის ცოდნა და უნარები; □ ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ზოგადსაბაზისო კომპეტენციების სისტემა შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე გასაგრძელებლად.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, მინიმალური ასაკი 18 წელი.

1. ცოდნა და გაცნობიერება

მასაჟის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელმა იცის:

ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები;

ურთიერთობის ფსიქოლოგია;

დაავადებების ეთიოლოგია და პათოგენეზი;

პაციენტის ჩართვა სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში;

სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები ორგანო-სისტემებზე ზემოქმედებისათვის (სისხლის მიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებას);

სამედიცინო მასაჟის საშუალებებს: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები;

კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებები - საერთოგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციური და სხვ.);

კინეზოთერაპიის ფორმები: პროცედურა - ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, კინეზო-ბალნეოთერაპია, ტერენკური რაითერაპია, დამოუკიდებელი ვარჯიში; ასევე-მოძრაობის რეჟიმები; სტაციონარი, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი;

სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟო ოთახის ფართობი, გარემო, სან-ჰიგიენური წესების დაცვით: სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა, სიმაღლე), სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები; სპეციფიკური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა);

სპორტული, ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარება;

პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

წიკითხონ დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაეცნოს პაციენტის კლინიკურ მდგომარეობას; არტერიული წნევის გაზომვა, პულსის და სუნთქვის დათვლა, პერკუსია და პალპაცია; ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება; მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა;

პირველადი დახმარების აღმოჩენა;

სამკურნალო მასაჟის მეთოდიკების გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად);

კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა - რეაბილიტაციაში;

ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკების გამოყენება.

3. დასკვნის უნარი

- დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმების ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი;
- ამოიცნოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიების ჩატარებაში.

4. კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

ლათინურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება;

კომუნიკაცია პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან;

სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება;

შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში.

	<p style="text-align: center;">5. სწავლის უნარი</p> <p>ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია: ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე; მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.</p> <p style="text-align: center;">6. ღირებულებები</p> <p>იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს; პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი</p>
<p>სწავლების ფორმატი</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ლექცია <input type="checkbox"/> პრაქტიკული მეცადინეობა. <input type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა; <input type="checkbox"/> პრაქტიკა
<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</p>	<p>სწავლების მეთოდები ირჩევა კურსის განმახორციელებლის მიერ, რომელიც მიმართულია სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისათვის. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების აქტივიზაცია, რაც სტუდენტში ახდენს შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ასევე მიზნად ისახავს დაინტერესოს სტუდენტი შემოქმედებითად, აქტიური გახადოს იგი ცოდნის მარაგის დაგროვების პროცესში. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები:</p> <p><i>სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა</i> წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს სასწავლო გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის სტუდენტის, საგანმანათლებლო დაწესებულების და დამსაქმებლისთვის.</p> <p>საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება დაწესებულების ფარგლებს გარეთ, ხოლო სასწავლო პრაქტიკა დაწესებულების ბაზაზე.</p> <p><i>სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა</i> არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ</p>

რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის ადგილის გაცნობა მის მიერ, სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური დაკვირვება, სტუდენტის ზედამხედველობა, სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის საბოლოო შეფასება.

გამოყენებულია სწავლა/ სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის:

სამუშაო ჯგუფში პრაქტიკული მეცადინეობა - პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები:

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშები უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებულებას, გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით

	<p>ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/ პრობლემის არსს.</p> <p><u>ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება</u> - მოითხოვს კურსის განმახორციელებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.</p> <p>ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გადაცემა. ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია პრესკონფერენცია, მოწვეული სტუმარი, ინფორმაციული ლექცია და ა.შ.</p> <p>პრეზენტაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური.</p> <p>სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას; <ul style="list-style-type: none"> □ (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; □ (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; □ (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; □ (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; □ (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> □ (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; □ (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის

საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში).

